



გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს
 გაუმარჯოს საქართველოს
 დემოკრატიულ რესპუბლიკას!
 გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას
 თავისუფალ საქარსველს!

„თეატრი და სპექტაკლი“

წლიურად 15 მან., ნახვარი წლით 9 მან. თითო ნომერი—1 მან. ხელის მოწერა მიიღება: დბილისში, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. Тифлис, ред. „ТЕАТРИ ДА ЦХОВРЕБ“, Иосифу Имедашვილ

1918 წ. № 9 კვირა, ივნისის 16-ე ფასი 1 მან. წელიწადი შეეკვსე გამოცემის

F-5809




ვრაფი შულენბურგი
 გერმანიის ელჩი საქართველოს რესპუბლიკის წინაშე თბილისში



მიხეილ წერეთელი
 ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე.



პეტრე სუგრულაძე
 ცნობილი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე



გიორგი მაჩაბელი
 ახალგაზდა პოლიტიკური მოღვაწე

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შებრძოლთა კომიტეტის წევრნი საზღვარ გარედ



წინა თეატრი (დრამა და მხედა)

რევოლუციის წინა დროის საქართველოში, რუსეთის ბატონობის დროს, ქართულ თეატრს თითქმის მუდამ ღირსეულად ეჭირა ხელოვნების დროშა და ერთი გათვითცნობიერების სხივები შეჰქონდა, თუმცა მის მსახურ-ქურუმს ბევრი დაბკროლები ელოდებოდა: ნაფთიერი ხელმოკლეობა, საზოგადოების უთანაგობლობა, რუსის ცენზორის ბატონობა და სხ. ამიერიდან ქართულ თეატრის ასპარეზი გაფართოვდა. ამიტომ ქართული სასცენო ხელოვნების მსახურთ სიფხიზლე ჰმართებთ შეცვლილ მდგომარეობაში მიზანშეწონილად სამოქმედოთ.

თბილისში ქართული დრამის საქმეს როგორც ისმის, მომავალი სეზონიდან გაუძღვება ქართული დრამატიული საზოგადოება ახალი დასით, რომლის ხელმძღვანელობაც მინდობილი აქვს გ. ა. ჯაბადარს. ამ ახალი დასის საქმე იქნება ჩვენი თეატრის აღდგენა აღორძინება. თბილისში მოგვეპოება ქართველ მსახიობთა კავშირიც, რომელს ირგვლივ თავს იკრებენ ჩვენი ძველი მსახიობნი. ამიერიდან მათი მხოლოდ დედაქალაქში დარჩენა ცოდვა იქნება. ცოცხალი, მიუკერძოებელი და ნათელი სიტყვა, სცენიდან ნათქვამი, ჩვენი ცხოვრების სიმანინჯას სცენაზე განსახიერება ისე არასოდეს არ ყოფილა საქირო, როგორც დღეს. ამიერიდან ქართველ ჰუმბარტ მსახიობს კიდევ უფრო დიდი მოვალეობა აწვება: ამიტომ საქიროა ქართვ. მსახიობთა კავშირმა თავისი მოქმედების ფარგლები გარედაც ვაიტიანოს. საქიროა სეზონის საქმე მოეწყოს ბაქოსა და ბათომში (ქუთაისსა და სხვაგან, ალბად, ადგილობრივ ძალნი მოაწყობენ საქმეს). ამისათვის, თუ საქირო იქმნა, ნივთიერი დახმარებაც უნდა მოითხოვონ, საიდანაც ჯერ არს.

დრამის გარდა, საქართველოს დედაქალაქს ოპერაც ეჭირვება. უცხო საოპერო დასების გარდა, უნდა შესდგეს საოპერო დასი და ქართულ ოპერის საქმეს საძირკველი ჩაეყაროს. ჩვენ საამისოდ რეპერტუარიც მოგვეპოება და ძალებიც გვყავს: ოპერები— „თამარ ცბიერი“ „ვეფხისტყაოსანი“, „მოთა რუსთველი“, „აბესალომ და ეთერი“, „ქრისტინე“ და-

ლატი „კერბთა დამხობა“. უნდა შევქმნიდეთ ფერი მომღერალ მსახიობნიც გვყვანან აქა იქ გაფანტულნი, ხოლო როცა საქმე დაიწყება, მაშინ ახალი ძალებიც გამოჩნდებიან. ამ საქმეს ჩვენი მთავრობის მხრით სუბსიდიაც უნდა დაენიშნოს.

სად უნდა მოთავსდეს ქართული ოპერა და დრამა? რაღა თქმა უნდა საქართველოს სახემწიფო თეატრში. ამისათვის ზრუნვაა საქირო. რომ ბოლოს შეგვიანებულზე არ ვინანოთ.

ქ ს ქ | ს ს ს

ჩვენმა სამშობლომ ცხოვრების ახალი ხანა დაიწყო. საქართველომ 117 წ. განმავლობაში რუსეთის უღლის ტარების შემდეგ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საკუთარ ფეხზე შესდგა, და თავისუფლად ამისუნთქა ადამიანთა საუბედუროდ დაწყებულ მსოფლიო ომს საქართველომ დროებით თავი დაახწია, ოსმალეთთან ზავი შეკრა კეთილშეგობრობის განსამტკიცებლად და ამ ომის ერთ უძლიერეს მონაწილეთაგანს—გერმანიას თავი შეაფარა. ამიერიდან გერმანია ჩვენი მფარველია; ამიერიდან საქართველო უცხო სახემწიფოთა პატარა ძმაა, თავის საქმეებს თითონ გაუძღვება, თავის მიწაწყალს თვითონ მოინმარს, თავის სამშობლო ენით და კულტურით განვითარდება.

ვინ არის გერმანია? სწავლა-ცოდნით დაწინაურებული, მრეწველობა-ვაჭრობა-მეურნეობით განვითარებული. ფილოსოფია-ხელოვნებით სამავალითო, ტექნიკით უაღრესად წინასული. ასეთი სახემწიფოს მფარველობა რას გვიქადის? წინსვლას, ადუვაებას, გაძლიერებას, ნამდვილად ადამიანურ ცხოვრებას, თუ ჩვენს ბუნებით ნიქს ავამოძრავებთ და ხელს გავანძრევთ, თუ არა და იქნება ჩვენი მშვენიერი ქვეყნის ნასუფრალიც არ შეგვგრჩეს და სხვის მეწველ ფურად შევიქმნეთ.

ეს რომ არ დაგვემართოს, როგორ უნდა მოვიქცეთ? ყოველივე კარგში მიებაძოთ ჩვენს ახალ მოკავშირეს: ჩვენი საყვარელი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ისევე ვიბრძოლოთ, რდგორც გერმანელი იბრძვის თავის ქვეყნის სადიდებლად, რა პარტიისაც უნდა იყოს (მოიგონეთ სახელგანთქმული ბებელი), სწავლა განათლება ისევე ავაყვაოთ ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სწავლების შემოღებით, როგორც გერმანიაშია, ვაჭრობა-მრეწველობა - მეურნეობა ისევე გავფურჩქნოთ, როგორც გერმანიაში... ერთი სიტყვით ისეთივე წესით ვიცხოვროთ, როგორც გერმანია. ამისათვის რა გვჭირია? დროით მოვიწვიოთ საქართველოს დამფუძნებელი კრება, შევიმუშაოთ შესაფერი ძირითადი კანონები, ძირ-ფესვიანად შევცვალოთ ჩვენი ცხოვრების მანე ხე-ჩვეულება წესები, გავსწმინდოთ ჩვენი ქვეყანა უცხოთა ზედნაშენობისგან და ახალ გზას შევუდგეთ, რომ მართლა და ღირსეული შევიქმნეთ ჩვენი ტურფა საშობლოსი, საპატიო მოკავშირენი ჩვენი ახალი მეგობრის გერმანიისა...

ამ ახალი ცვლილებით როდის დავსტკბებით? როცა ჩვენს სამშობლოს სულით და გულით შევიყვარებთ, როცა რაც ჩვენიასხვის

არ დაუთმობთ, სხვისას ხელს არ წავატანოთ. საქართველოს უხსოვარ დროიდან ეტანებოდნენ გარეშე მტრები, ხან ფარისევლური მოყვრობით, ხან აშკარა მტრობით, მაგრამ საქართველომ მაინც დღემდე მოახწვია.

მოიგონეთ ბერძენთ გმირი იაზონი ჩვენს სამშობლო კოლხეთს რომ ეწვია, ოქროს ვერძი და ტურჯა მედეა გაიტაცა. იაზონმა ბოლოს მედეას უღალატა, მერე რა მოიგო? მედეას სასტიკი შურის ძიება. და მის შემდეგ ყველა, ვინც-კი ჩვენს ჩაყლაპვას მოინდომებდა ხოლმე, ხახას ძვალი ვაეჩხირებოდა, ირჩობოდა. ქართველი თავისი ხასიათით მოყვარეს თავს ევლებს, მტერს კირისხვად ევლინება. ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინც ჩვენს ხელის წამოკვრას და ჩაყლაპვას მოინდომებს.

მსოფლიო ომის ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქალა და ვინ იცის, რა მოგველის, მაგრამ რაც უნდა მოგველოდდეს, ჩვენ მაინც მომავლის ღრმა რწმენით უნდა განვიმსჯელებოდეთ, მუდამ დარაჯად ვვდგეთ ჩვენს მრავალწამებულ კეკლუც სამშობლოს თავისუფლებას... სასოწარკვეთილება და უნუგეშობა ლაჩართ წესია... ქართველ კაცს-კი მუდამ შავ ბეუთან ბრძოლა, სულის რაინდობა და სიფხიზლე ჰმეფენს...

და როდის უფრო შევძლებთ შავბედთან ბრძოლას და რაინდული სულის აღდგენა-განმტკიცებას? როცა ყველა საქართველოს სამფეროვან ერთი დროშის ქვეშ შემოკვრებებით ერთის რწმენით აღფრთოვანებულნი იმ დროშის რომელიც სიმბოლოა მამულიშვილობის, ძმობა-ერთობის და სიყვარულის...

შორსგამჭვრეტელობა და სიფხიზლე, რომ ახალ მახეში არ გავებ თ და არ ავკენესდეთ, როგორც აკაკიმ აკენესა თავისი ჩანგი რუსთა შემოსვლის შემდეგ:

„შორიდან შემოგვეპარა მტერი, ვით ტურა მელაო“...

მუდამ გვახსოვდეს, რომ „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ. ვართ ყველაო სხვა დასხვა კუთხის შვილები .. ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შევლათ“.

და ღრმად გვწამდეს, რომ ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სარჩობელოა!

ამ რწმენით შევეგებნეთ ახალი ხანის დაწყებას, რომ ჩვენი თავი ნართლა ჩვენად გვეყუდნოს, რო მტერმა-კი პატივი გვცეს, მოყვარემ ჩვენით იხაროს!

გაუმარჯოს ახალ ხანას, გაუმარჯოს ჩვენს თვითმოქმედებას! გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

* * *
(აკაკის პასუხად)

არ მომკვდარვარ, თუმც მეძინა მტრის ლახვარით განგმირულსა, მაჯის ძარღვი კვლავ მიცემდა, ბგერა შერჩა ისევ გულსა!

მრავალ ბრძოლით მოქანცულმა მე მოყვარედ ვიხმე მტერი და მეგონა მის შეწვევით ვიქნებოდი ბედნიერი,

მაგრამ ვაგლახ, სჯულიანმა უსჯულოზედ მიქმნა მეტი, ყმად მიქცია, ენას მგლეჯდა, თავში დამცხო რკინის კეტით.

ლონე მიხდილს, სისხლით დაცლილს დამისუსტდა გმირი გული, მიმეძინა... ბევრს ეგონა, ბედით ვიყავ განწირული:

ხო მე ცრემლი დამადინა. ზოგი ძაძით შეიმოსა, ის ჰგალობდა „სულთა თანა“-ს სალხინოს, საზეიმოსა...

მაგრამ შესცდა, ძილის დროსაც სასიცოცხლოდ გული სძგერდა... ვინც ჩემს სიკვდილს მოელოდდა, ის დაემხო და ამტვერდა!...

არ მომკვდარვარ, თუმც მეძინა მტრის ლახვარით განგმირულსა. აგერ აღვსდევ და კვლავ შევძლებ საქმეს ძამაცს და გმირულსა!





მიპასუხე!

უცნობი შემოიჭერ ჩემს არსებაში... და მიმორჩილე, შემოიპყარ... პირველად შენ შემსავი ჯადი სწური თილისმა... შენ მიერ მოჯადოვებული, აკვნესებული სული დღე და ღამ გეძებს, ელის შენს გამოხმაურებას, მაგრამ ამოდ—შენ „მას“ გაჰყევი, შენი სული მხოლოდ „მას“ ესაღბუნება...

რა რიგ მინდოდა, აი, ამ ღამეს. ბაღში რომ ვიყავით, ჩამეჩურჩულებინა შენთვის სიყვარულის ამოცანის ასახსნელი ძილის პირები, მაგრამ მოულოდნელად „ის“ მოვიდა და... შენ მას გაუცინე, ვარდისფერად გაღუკისკისე და დაამსხვრიე ზრახვანი ჩემი სულისა... „ის“ მიმისვდა და მალე გაგშორდა, მაგრამ... მაგრამ შენი გულიც თან წარიტაცა...

„აი შეხედე, ერთი ვარსკვლავი მოსწყდა ცას, ალბათ ვისიმე მიჯნური გამოესალმა წუთი სოფელს—ამბობენ თვითვე აღამიანს ჰყავს თავისი საკუთარი ვარსკვლავი, რა გულით მინდოდა შენ ყოფილიყავ ჩემი ვარსკვლავი მეთქი, გებუტბუტ ბოდი კრძალვით, მაგრამ ამოდ—შენ ყურა აღარ მათხოვე... პასუხის ნაცვლად ბებერ მთვარეს მიამყარ თავალი და ჩემ სიახლოვეს ვგრძკვი გრძნობდი. შენი უძირო გრძნობათა ზღვა თვალების წამწამები წითლად ცელქაობდნენ მს შუქზე. ისიც უხვად გაფრქვევდა მზისგან ნახესებ საივებს... მაგრამ ამ დროს კოტის ჩხვილმა შეგაშინა და... ჩემსკენ მოიწიე, მომეკარ, მოხვდა ყური ყურს, რომელთა შარაშურს მხოლოდ იგივე კოტის ჩხვილი არღვევდა... შენ მალე გამოერკვიე—გამომტაცე თავი, ცივად ხელი ჩამომართვი, გამექეცი და... წამართვი მყუდროება სთლისა...

უშენოდ ბაღში კიდევ დიდხანს დავრჩი; შენ წაგბამე—მეც იმავე ბებერ მთვარეს დაუწყე ყურება, თითქოს იმისგან მოველოდი შენს მაგიერ პასუხს, მაგრამ წამოუბერა დასავლეთის ქარმა და ერთი შავი ღრუბლის ნაჭერი მთვარეს გადააფარა... მანაც არ მითანაგრძნო. მისთვისაც კი გადაგეცა ჩემდამი მტრობა... ნაღვლიანად წამოვდექი, დიდხანს უყურე შენ

ნაჯღომ ადგილს, საიდანაც მამეზღებდი მთვარესთან...

რად მამეზღებდი, რას მერჩოდი? ვიყავი კი დამნაშავე, რომ შენ „ის“ გაყვარდა, მას შენ და შენ კიდევ მე? დამნაშავე შენ თითონ არა ხარ? მაშ რად მიამბე ის „სიყვარულის ზღაპარი“, აი, ხომ გახსოვს ჰამაკში რომ ქანაობდი მე კი ახლოს ატუხუხული საცოდავად გისმენდი იმ „სიყვარულის“ საუცხოვო ზღაპარს?

შენ თვითონ არ მითხარ „მასაც“ ეს ზღაპარი უამბე სიყვარულის პირველ დღესო? შესცდი? მოსტყუვდი, გამტყუნა ნებისყოფამ? მერე და მე რადა ვარ დამნაშავე, შურს რად იძიებ, ან „ის“ რად მრისხანებს, ნუ თუ ჰგონია მხოლოდ „მას“ ერთს შეეძლო და ჰქონდა უფლება შენი სიყვარულისა?! გახსოვს, კიდევ ერთხელ ალუმბლოს ჩრდილ ქვეშ რომ გეძინა, მოგეპარე, ცხვირსახოცით გიგრილებდი და მწვანე მინდორზე გაშლილ შენს თმებს ცალ-ცალკე ვახვევდი ქურდულად კოტნის ტანთსაცმელში? რა ბედნიერებას ვგრძნობდმ იმ დროს, მაგრამ... შენ, შენი გრძნეული ალლოთი მძინარმაც კი იგრძენე ჩემი ქურდობა და... გაიღვიძე... ჩემ სულის ისევ სევდის რკალი შემოერტყა... შენ სდუმდი, მაგრამ ის დუმილი ოქრო რჩეული, რომელმაც მომტაცა ის წუთიერა ბედნიერებაც-კი... წუთიერი.

მაგრამ განა ყველაფერი წუთით არ არსებობს ამ ქვეყნად? მთელი ჩვენი მიწიერი სიცოცხლე წუთიერი არ არის? თუ არა, აბა მითხარი: რა არის ამ ქვეყნად სამარადისთ, უკვდავი? საით მიისწრაფვის აღამიანის მშფოთარე სული, რას ეძებს? რით, ან როდის მოისვენებს აღამიანი? ან კი არსებობს სამარადისო ბედნიერება თუ უბრალოდ ღრეცს აღამიანი მის ძეგაში სულს? მიპასუხე!... კრ. საქარაქედელი

ღ მ ს კ

თუ ვერ დავბრუნდე, ჩემო ღვთაებავ,
არ დამივიწყო ბრძოლისა ველზე;—
მკვდარიც გახსოვდე და ეს სურათი
არ მოიშორო მაგ თეთრ-ფიფქ ყელზე!
რაც დრო ვატარე, მხოლოდ ის შემრჩა—
იმის მეტს აწი აღარც-კი ველი;
სამშობლოსათვის თავი მსურს დავსდო...
აბა, მშვიდობია; მომეცი ხელი!...

აეტი ვეწამე



რაბინდრანთ თავორე

ინდოელთა სახელგანთქმული მოგვი-მწერალი.

რაბინდრანთ თავორე

ვის უმღეროდი?

მიაშბე, ჩემო ძვირფასო... გამაგებინე ვის უმღეროდი? ბნელი ღამეა!.. შავ ღრუბლებში დამარხულან ვარსკვლავები...

ირგვლივ სიჩუმეა, მხოლოდ ხეების ფოთლებში ძლივს კენესის ქარი... შავ თმებს გავიშლი და მით დავიფარავ სხეულს... მე ხარბათ მიგიკრავ გულზე და შენ მხოლოდ ჩემს გულს წასჩურჩულე რაცა გაქვს სათქმელი.

მე დავხუტავ თვალებს და ისე მოვიხმენ შენს ჩურჩულს. სახზე ერთხელაც არ შემოგზნადავ...

შენ მხოლოდ ისა სთქვი, რაც გულში გაქვს... და მაშინ, როცა უკანასკნელი სიტყვა შენი შეარხევს ჩემს გულს - სიჩუმის მორევში გავხვებოვით ერთმანეთს. ფერს იცვლის ღამეც... მოატანს განთიადი...

მაშინ ჩავეხედოთ ერთმანეთს თვალებში და სხვა და სხვა გზით განვმორდეთ ერთი მეორეს...

მიაშბე ჩემო ძვირფასო. გამაგებინე ვის უმღეროდი?

მშვენიერო, მიყვარხარ!

მშვენიერო მიყვარხარ!.. და ნუ დამსჯი ამისათვის! როგორც უცდელი ჩიტი, ისე გავები შენს მახეში... უიმედოთ აკენესდა გული ჩემი...

ღვთაებო, სიბრალულით გაათბე იგი და ნუ დასჯი სიყვარულისათვის...

და თუ, საყვარელო, არ შეგიძლია შემეყვარო, მაპატიე, რომ შენთვის ვიტანჯებოდი...

ნუ, ნუ მიტკერი შორიდან ვერე ცივად!.. ბნელ კუთხეს მოგნახავ და იქ ვიქნები...

მხოლოდ სიბნელე დამიფარავს მე სიარცხვილისაგან მომარიდე მე შენი თვალები და მაპატიე, რომ შენზე ვიქრობდი და შენთვის ვლონდებოდი...

და თუ, ღვთაებო, გიყვარვარ, — მაპატიე ფრთაშესხმული სიხარული...

მაშინ, როდესაც აღფრთოვნება მეწვევა, გაღიმებული სახით არ შემომხედო, რადგან მალე ვეძლევი თავდავიწყებას...

და როცა სიყვარულის მაღალ მთაზე ავალ, — მოწყალებას გამოვიღებ შენთვის...

მაშინ შენც მოითმინე ჩემი სიამაყე... და აღტაცება მაპატიე...

ჩემს ბაღში ბრმა ქალმა ყვავილები...

მომიტანა... მე მოვეხვიე მას კისერზე და ცრემლებით ამევსო თვალები...

გრძნობით ვაკოცე მას და თან წავსჩურჩულე: ბრმა ხარ შენ ისე, როგორც ეს ყვავილი!.. შენ თითონ არ იცი, რა ძვირფასია შენი ძღვენი!..

მსოფლიოს ყვავილი

ო, მსოფლიო. მე მოვწყვიტე შენი ყვავილი... ჩაიკარ ის გულში და ეკალი დამესო...

და როცა დაღამდა ის ღღე, ყვავილი დაქცა და ჩემმა გულმა მხოლოდ ტკივილი იგრძნო...

ო, მსოფლიო! შენ კვლავ წარმოშობ ფერად და სურნელოვან ყვავილებს...

ჩემი დრო ვარდასულია უკვე... მე ვერ დავკრფე ყვავილებს...

და უკუნეთ წვედიაღში მე ჩემი ვარდი არა მაქვს... მე მხოლოდ ტკივილი დამრჩა "ისვანა"!

ლ. ძიძიგური

რად გამებუტე?

(ღლიურიდან „ნერვების ცეკვა“)

რად გამებუტე? ნუ თუ იმიტომ რო შენს თვალებში, წყნარ ღერე თვალებში ეჭვრეტი მსოფლიოს? ნუ თუ იმიტომ, რო უძირა, მღვდვარე გრძნობის ტაღეკა შთანთქეს ჩემი სუსტი სული? ან იქნებ იმატომ რო შენს ნორჩს ბავეს მოგტანე ოდესღაც, მზის ჩასვლისას, ტუის შირას, მწველი კონცხ?

ან იქნებ მოგებურდა ჩემი გულწრფელობა, — შენს დახვეწს ხელოვნურ ქცევას? ან იქნება კიდევ იმიტომ, რო შენს „ღამას სიჭრუეს“ გულ დაღებით ვისმენდი, ვკრეფდი ფერად კონცხთ და დაეხარადი...

და არ ვიცი რითი და როგორ დავიმსახურე შენი „მსჯავრია“?

შენ ხომ თავისუფალი ხარ, როგორც უღბნოს ძლიერა ქარი! შენ ხომ არ შეგიხდუდა შენი ნება არავითარ სიტუვით და ფიცით! და ვინ გავალებს რასმეს?..

იქნებ შევლახე შენი ფაქიზი სმენა ტლანქ სიტუვით, ან იქნებ შეურაცხვე შენი განვითარებულობი, ესთეტიური გრძნობა, გრძნობა აღზრდილი ყვავილებზე და მუსიკალურ სონეტებზე?

შავრამ მაგას ვერაფერ ვერასოდეს ვერ მივიტინებს! შირიქით... შენ ვითულები მორცხე ფაქიზ შვილად ჩემ კონტა საფარეულ სამშობლოში!!

იქნება იმიტომ, რო გადარებდი ვარსკვლავებს და რომაელთა ძველ ღმერთებს? იქნებ შენც, ვით ჭერის ჭეინეს, შეგიძლია მხოლოდ მათი სიყვარული ვისად სძულხარ!



რა გქნა მე არ ძალბიძის შენი შეძულება... განა არა... გულდუ, მინდობა, მაგრამ ამოდ! შენი სუ-
ლი ჩვენსადაცა ჩემ სულს, ჩემ ღებებს, და წარ-
მოუდგენელია ჩემი არსებობა უშენოდ; და რამდენ-
ხანაღ ვიკლავდი ვინაობას, ვახრჩობდი, იმდენად
იშლებოდა, ითურქებოდა, ზიანდებოდა, და აი ღა-
შის არის ჭკერფან არსად გამიტაცოს, გამაშოროს
ამ ქვეყნის ამოკებას, გამაქროლოს ამ ნეტარ მსა-
რისკენ „სადით არც ერთი მტხარა უკან აღარ ბრუნ-
დებია“?

რატომ არ ფიქრობ, რომ დარდათ მხოლოდ
გვ შენი სამღურავი განუგება.

რატომ არ ფიქრობ, რომ ჩემი სული, დაჩვე-
ული კვლავა ძიებას ვერ მოახერხებს, ვიდრე არ
გაიკებს თავ მიზეზობის უმიზეზო მიზეზს.

მართალია, სიყვარულში საინტერესოა თვით
სიყვარულის პროცესი, თვალთა ბაასი, დაუსრულე-
ბ. ლი სიტუაციები, მირველი შემთხვევითი შესვლად,ა.
გრძობის დათესა, მის ზრდა-გ-ნვითარება, ცნებ-
ბა და მწველი ფიქრები, — დასრულება ყოველთვის
ერთგვარა შაბლონით არის დაბრუნდი, — მაგრამ
ასე უმიზეზოდ განა შეიძლება ერთის ხელჩაქნევით
დახვრიათ ის სასლამრა მინარეთი ჩემი ცნებაში
რო ავიგე? ნუ თუ ეტრე უფარულად უნდა დაგვირ-
გვინდეს ის ღამაში წუთები, რომელნიც, ვით
თვალსთვანა მანკები ჩემ გზაზე იყო მოთენილ-
მოხვეული?

მართალია ადამიანის შეძულება შეიძლება სულ
ცოტა რამეზე, ხელად, უცბად მაგრამ განა შეიძ-
ლება დაიღოს საზღვარი სიყვარულის და სიძულვილის
შორის? განა თვით სიძულვილში სიყვარული არ
ბუდობს? განა შეიძლება განსაზღვრა მათი?

არა და არა!

რად გამებუტე? მითხარი! ვინ შეგძულა ჩე-
მი თავი? ვინ არის ის ბედნიერი რომ შეიჭრა ჩემ
მაგიერ შენს გულში და გამეფდა იქ?

სამუდამად თუ დროებით?

ნეტა ვიცნობდე, რომ მე თითონ შემიძლეს
გადაჭრა თავ საკითხის; მე წინდაწინვე განითვალის-
წინებდი მის სულიერ სასლამოს და წინასწარ მე-
ცოდინებოდა ზეტაულები შენზე.

მაგრამ არ ვიცნობ... და არ ვიცო როდემ-
დი გასტანს ეტ გატაცება.

განა მე, მე არ ვიყავი შენი შესაძლებელი,
შენი შეგობარი, შენი ამხანაგი? და ეხლა რა მო-
ხდა? აი ვნივარ და ვუთქვამ. ვეკითხები ჩემი
თავს და მასებს ვერ ვიძებ.

მინდა ამოვიკითხო ეს ამოცანა ჩემს ხელაძე-
ბულ თვალბში, მაგრამ იქნა გარდა წარმტაც
უნდად შევიდრი, შეურყვველ გრძობის სხვა ვერა
ფერს ვერ ვხედავ!

ხადრმაგდა ჩემი თვალბი უძილბე...
გამო: თათლის სანთელს ჰვანს ჩემი სახე. ჩანბ,
ჩამოდნა.

ვეკითხები მდუმარე მადლ კედლებს, დიდ-
როგან მწვანე თვალბით რომ დამცქერონ, ნუ თუ
მე, თქვენ შორის გაზდის, თქვენს მიერ დაფა-
რულს სიცივისგან, მზისგან, წვიმისგან ნუ თუ თქვენ
მოწაშენო ჩემი უმწიველო ბავშობის, თქვენ კედლე-
ბა გაუღებთილო ჩემი სულით, თვით ჩემი ტან-
ჯვით, მოწმენო ჩემი მდუმარე ცრემლების, ნუ თუ
თქვენ ვერ მომაგონებთ მიზეზს მოულოდნელ გულ-
ციობისას

ან კიდე: შენ ჩემო ცბოლო, ღამაში მინაკო,
წითლად რომ ჭლები ბრალის ვანაში, ჩემს მაგი-
დაზე! — შენ ხომ მაშინ ჩემ მეგრდზე იყავი, ნუ თუ
არ იცი რად შემოგვხედა მე და შენ იმან ისე
მტრულად, ისე მკაცრად, ისე სასტიკად? იგრძენ,
შენც ხომ დაძნარე შენი კობტა თავი მაშინ? რა-
ტომ არ იტყვი, რად გამებუტე?

აი, მიდიან, მიიხლანლებიან წუთები, მიდიან
გრძელი ხანტი ნაბიჯებით, და მე კი მასუსს არაფინ
არ მძლევს!

მინდა მოვიკლავ დრო, მინდა ვაგერთო!

აი გადავიკითხო, რამდენიმე განუთი, აი გძელი
მხსენებათ რმის და ზავის შესახებ, აი ახალი დად-
გენილებანი, აი საშენიერო გამოკვლევანი, ანაჩვე-
ულებრივი რინგებით განკანძული ლექციები, არა-
რად იქნა ჩემთვის მთელი მსოფლიოს წმიდათა-
წმიდა, არა ღაგდება ჩემს იავში არც ერთი სხრი,
მხოლოდ ღურსმანივით ღრდნის ჩემ თავს, ერთად
ერთი ჩქედლი ფიქრი: „რად გამებუტე?“

ვნივარ, ვწევარ, ვეკითხულობ თუ ვსწერ, სა-
საწარვევითილი, ვიკვებ ჩემ თხელ ტურბის, და
თითების მტრეკით ვუთქვამ, ვუთქვამ და ვუთქ-
ვამ: რად გამებუტე ჩემო კარგო, რად გამებუტე?

მარიჯან

ტ ვ ა ტ რ ი

დმერთო მადლო! შენ გადმომხედე,
რომე აღმართო წმიდა ტადარი,
შიგ დაფასვენო ხატო ძველის,
და მის კარებზე დავიდო ხარი, —

დავიწყო ღოცვა — შენი დიდება,
მამულის მტერსა დაგცე თავზარი,
აქ აღიონზე მოგინებო ხადნი,
მშვიტ-მწუწურვადებს გაულო კარი!

მსურს ამა დღისთვის, დმერთო მადლო,
ოდეს აღიგოს ძიობის ტადარი,
შიგ შევიფხვანო ივერის ღედა
და სახეიმოდ ჩამოვკრა ხარი!...

საშა.



ჩვენნი მოღვაწენი



მის. თუმანიშვილი (1818-1918)

ამ თვეში (ივნ.) შესრულდა ასი წელი მიხეილ ბირთველ. თუმანიშვილის დაბადებიდან. მ. თუმანიშვილი იყო ცნობილი ქართველი პოეტი, ფელეტონისტი და საზოგადო მოღვაწე. მისი ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში“, და სიკვდილის შემდეგ ორჯელ გამოსცა მისმა შვილმა, გ. თუმანიშვილმა. 1881 წ. აგრეთვე დაბეჭდილი იყო უკანასკნელის „ალმანახში“, „ივერიაში“, „თემში“, „საქართველოში“, და „ჯეჯილში“. მისი ორი ლექსი, ჯერ

არსად დაბეჭდილი, ჩვენ მოგვყავს ქვემოთ, ისინი ჩართული იქნებიან მის თხზულება-კრებულში, რომლის გამოცემასაც აპირებენ მისი შვილები ამ წელში, ავტორის სურათით და ბიოგრაფიით.

მისი ლექსები იყო რუსულად გადათარგმნილი მგოსანი ქალის გრინევსკისაგან და სოფ. ამირაჯიბისაგან (იხ. მისი კრებული ქართველ პოეტების ლექსებიდან, მოსკოვში გამოცემული), აგრეთვე გადათარგმნილია პოლონურ ენაზე, პოეტის ზაბლოცკისაგან.

მ. თუმანიშვილის ლექსებზე სწორდნენ პროფ. ა. ხახანაშვილი (იხ. ურ. „განათლება“, № 2 1911 წ. და მისი წიგნი „ქართული მწერლობის ისტორია“), ივ. მაჩაბელი („ივერია“), ი. გოგებაშვილი („თბ. მოამბე“), დ. ვედრებისელი („კავ. სლ.“ 1918 წ. ივნ. 1) და სხ.

მ. თუმანიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პირველი ქართული ფელეტონები „ცისკარში“, მოღვაწის სახელით. ამ ფელეტონებს თანაგრძნობით იხსენიებს არჩ. ჯორჯაძე „ცისკარის“ ისტორიაში (იხ. „ცნობის ფურცელში“ 1911 წ. № 463). ქართული თეატრის დაარსების დროს მ. თუმანიშვილი ეხმარებოდა გ. ე. ისთავს: პირველ წარმოდგენებში სუფლიორის თანამდებობას ასრულებდა, შემდეგ ქართულ-სცენაზე სწორდა ფელეტონებს „კავკაზში“ და „დროებაში“ (1867).

მ. თუმანიშვილი აგრეთვე ცნობილი მოღვაწეა გლეხების განთავისუფლების დროს (1864-75 წ.). ის იყო მთავარმართებლის საბჭოს წევრი. მისი ვრცელი წერილები ბატონყმობის ისტორიიდან საქართველოში, ხიზნებზე და სხ. დაბეჭდილი იყო ადგილობრივ გამოცემებში („სბორნიკ სვედ. ო კავ.“; „მატერიალი პოლპის. ტიფლ. გუბ.“ და სხ.) მის ნაშრომს ხშირად იხსენიებენ ჩვენი ქვეყნის მკვლევარნი: ბარ. ნიკოლაი, მ. კუჩავეი, ა. ყიფშიძე, ს. ავალიანი და სხ.

მისი შვილები არიან ცნობილი მოღვაწენი ან. თ.-წერეთლისა, გ. და ვ. თუმანიშვილები და სხ.*)

მისი რუსული სტატიები ამ ცოტა ხანში გამოვა ქართულ კრებულთან ერთად.

მიხეილ თუმანიშვილის დაუბეჭდავი ლექსები

ჩანგი

მიყვარს წყნარი, ეჭა ჩანგო, ხმა შენი, ზოგჯერ შეგბობს, ზოგჯერ სევდის მომფენი: სიმთა შენთა ნარნარ ხმისა მომსმენი: განიღვიძებს ტკბილი გულისა სენი. შენ განატკბობ, შენ განაკრთობ სმენასა, ოდეს იწყობ ნაღვლიანსა ქდერასა, შენ შეარყვებ ჩემის გულის ალყასა და პასუხად აღმოაფრენ ოხერასა. სული ჩემი შეეთვისა შენს მღერას, შენ მას აღხენ, უნახევრებ კაეშანს, და იგი შენ ვითა ერთგულ მეგობარს, აღვიარებს დაფარულსა ზვაშიადს.

მსწრაფლ დამეჭკნა სიხარულის ყვაილი, მსწრაფლ დამეჭკნა ბაგეთხელა ღიმილი: მეც ოდესმე ვიყავ ტრფობით აღვსილი, და გულს ტკბილად აღმიგზნობდა სურვილი.

აწ საამო სად წარვიდა სურვილი?

ალარ მოვალს იგი ჟამი ნეტარი?

გამქრობია სასოების ლამპარი,

და მწვევია ბედით კმუნვის ისარი.

გულსა შინა სხვა არიან გრძნობანი:

ვისლა ვანდო საიღუმლო როტვანი?

რომ შესწყვიტოს ცრემლთა ხშირთა ღენანი?

რომ განსდევნოს შუბლით აწ კაეშანი?

და რა დამშთა მე წუთის სიცოცხლისა?

ბინდი—ნაცვლად მხიარულის დილისა,

მაგრამ ჩანგო, შენ ხარ ლხინი გულისა,

რას ვიგონებ ქარიშხალსა განვლილსა!

ასტრას*)

ასტრავ, ასტრავ, კენაურო კაცთათვის!

სადაური, სად მოსულხარ ან რისთვის?

უსულო ხარ, სულიერი, ვინ იცის?

ეს სახელი არ ჰსმენია არავის?

ნუ თუ ხარ შენ ანგელოსი ციური,

ან ყვაილი უსახელო ველური?

ანუ თვალი უძვირფასესი ზღვისა?..

მკითხველთათვის ხარ მარად უცნაური.

მოფრენილი შორეულისა ქვეყნით,

კარგის სიტყვით, კარგის სტინით, კარგის ხმით,

ვერავისგან შეწყნარებას ვერ ჰპოებ,

მიუხევედრის, ასტრავ, შენის წოდებით,

გაისარჯე, წარვედ შენსა დამწერთან.

ოდესცა სცნობ შენსა სახელსა მისგან,

მაშინ გაქნდეს უბეჭველი იმედი,

რომ იქნები წაკითხული ყველასგან.

ცნობები ამოდებულია იოსებ იმედაშვილის ხელთ-აწერ «ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი»-დან.

წინანდალი, 15 ივნ. 1888 წ. *) ამ ლექსის საგანს ეხება ნ. ბარათაშვილი თავის წიგნში, რომელიც მიწერილი იყო მისაგან მის თუმანიშვილთან (იხ. ნ. ბარათაშვილის თხზულებაში).



ქართული
თეატრული
კავშირები

პ. ი. მ. მამარაშვილი



ჩენი სცენის ერთს ჩუმს, ნამდვარს და
ბუნებით ნიჭიერს, თავის თავადს ქუ-
რუმს, ვიქტორ მერაბის ძე გამყრელი-
ძეს დღეს სახემწიფო თეატრში 30 წლის
ნამოღვაწევის სამაგიერო დღესასწაულს
უმართავენ. ვინ არის ვიქტორ გამყრე-
ლიძე?

ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძე დაიბ.
სოფ. აწყურში თელავ. მაზ. 1866 წ.

იანვრის 9 ას. მემამულის ოჯახში. პირველდაწყებითი
სწავლა მილო ოჯახში, შემდეგ სამოქალაქო აქედან შე-
ვიდა საოცტატო ინსტიტუტში. ბინა ჰქონდა იქვე პან-
სიონში. იმ ხანად სასწავლებელში შესდგა ერთი ჯგუ-
ფი ახალგაზრდებისა, რომელთაც დაიწეს ქართული
წარმოდგენების მართვა. აქ ვიქტორი ყოველ წარმოდგე-
ნა-კონცერტში მონაწილეობდა. შემდეგ ამ ჯგუფმა და-
იწყო სასწავლებლის გარეშე წარმოდგენების გამართვა
ჩერქეზიშვილის ავტალის ქუჩ. ავალიშვილის სახლებში
ყოველ კვირა მართავდნ წარმოდგენებს. ამ ჯგუფში
ეროვნენ დ. აწყურელი, კ. შათირიშვილი; ნ. ერისთავი,
1884-5 წ. შევიდა დიდ სცენაზე. იმ წელიწადს ანტრე-
არიზა ჰქონდა ა. ნებეირიძეს. მას შემდეგ განუწყეტ-
ლივ მონაწილეობდეს დასში. 1907-წლიდან. სათ აზნ
ბანკში შევიდა და დროთ-გამოშვებით მონაწილეობდა:
1895-6 წ. ფბილისსა და ქუთაისში, 1898 წ. ვ. მესხი-
შვილის დასში მონაწილეობდა. სამი სეზონი (1903-
1906) განუწყეტლივ მსახურებდა ქ. ქუთაისში. გან-
სუკთრებით ისტორიულ და ჩვენებურ პიესებში ისახე-
ლა თავი, — დამასა და კომედიაში; მისი როლებია სვი-
მონ ლიონიძე, ოტია ქოლია, ანანია, გაბო, გიჟუა და
სხ. სახიობა მისი ბუნებითია. ძალდაუტანებელია არა
ყალბი. ქართული ორიგინალური სხიობის განვითარე-
ბაში ვიქტორსაც ფრიად დიდი წილი უძევს და ამ გა-
რემოებს ქართული თეატრის ისტორია მუდამ მადლო-
ბით მოახსენიებს. დაე, ქართველმა აზოვადოებამ ამ
თითქმის 35 წლის მოჭირახულეს დღეს ერთხელ მაინც
უთხრას მადლობა, სალაში და დღეგრძელობა ჩვენი ერო-
ვნული სცენის მშობლიურ სულს მტრებელ ვიქტორს!..

იოსებ არიმათიელი.



სერგო მ. უროშვილი
ეროვნულ საბჭოს ქვესტორი

იურისტია, პორუჩიკი ახალგაზრდობიდანვე მონაწილე-
ობდა ს.—დ. პარტიაში თავი ისახელა ილ ქავეჭავაძის
გარდაცვალების დროს თანამშრომლობდა ლ. დარჩია-
შვილის, ჩვენ კვალში და სხ. ჟურნალ გაზეთში. და
ძველი მთავრობისგან იღვენებდა რევოლიუციის დიდი
მაგი დასდო. იყო წევრად პეტროგრადის მუშათა და
ჯარისკაცთა საბჭოს წევრად და ოზურგეთიდან თათრე-
ბის გარეკვაშიაც მონაწილეობდა. ამიერ კავკასიის სე-
იმში იგი ქვესტორად აირჩიეს, რომელ თანამდებობასაც
უკვე საქართველოს ეროვნულ საბჭოში ასრულებს და
თვისი მუყაითი მუშაობით ჩვენს ეროვ. საბჭოს გარეგნუ-
ლად წესის დაცვით დასავლეთ ევროპიის პარლამენტს
უახლოვებს.



კალანდაძე-აგასოვისა
ი. სარაჯიშვილი



ბ. კურბატოვი



საქართველოს ეროვნულ საბჭოს (პარლამენტის) თავჯდომარის ამხანაგებლ არჩეულნი:



იოსებ ალ. ბარათაშვილი
(სოციალ-დემოკრატისტი)



ექვთიმე თაყაიშვილი
(ეროვნული დემოკრატი)

Handwritten signature



გ. ი. გვანცაძე
საქართველოს რესპუბლიკის
რეზინის გზის მოძრაობის უფროსად
არჩეული იურისტი.



სერ. დავ. ჯუღაშვილი
საქართველოს რესპუბლიკის საქმეთა მმართველი.



ალექსანდრე ბრ. კანდელაკი
საქართველოს რესპუბლიკის
რეზინის გზის უფროსად არჩეული.
ინჟინერი.



ქართული
დრამატული
საზოგადოებრივი
საზოგადოებრივი

ქორწილი

ალეგორია სამ სანახაობად.

სურათი მეორე *

ქართლშივე, იმავე სასაღმის, მეორე მხარეს, აიგანი გადაჭყურებს ფოთოლ შეყვითლებულ ბაღსას მისჩანს ვაზის ხეულები, ჩაძვის, ფითრ-მადლებულ მისდის, ვაშლის და ღობოს ხეები გადატეხ ღი ღობე. აიგნის მიმდინარეობა შიშვარებულა. ნაკვი- ახევი სადილი კათავებულა. შიშვარის სასანდრის ხმა, მონადიმეთა ხმაურთა. თითქმის კამომთვრალი ნაქიფთარი მონადიმეხი კამომთვრებან. ბინდღება, შთკარე აღის ფრად ამოჭეოფს წვეკს, შიშვ-შიშვედ შეუჩერებლივ ამოდის და სტუნა თანდათან ნათდება.

1

თვ. ტიტკო, გოლა ინჟინ. მარიამი, ძნ. სიდონია, სანდრო კახელი, არამი და მოქვიფენი.

თავ. ტიტკო ჰქრება ჩვენი სიცოცხლე, —
ბარემც ვაქრეთ ღხენითა,
თუ ვაშობეთ ღვინ ში,
ისევ მოვკვდეთ ღვინითა!
აბა, ერთი თამაში,
ჰე, ბიჭებო განხედა,
ვინ აჯობებთ ცეკვაში,
შეგეტყობათ ტანხედა!..

(ცეკვა ხაურული, ბაღდაღური).

თავ. ტიტკო მარიამ ქალს დამიძახეთ
და ტაშისთვის დაემზადეთ!
სანდრო აბა, დაუარე,
რო მოხიბლო ქართლის არე!

(სანდრო კახელი გამოდის)

ჰა, ლეკური, ლეკური,
ტაშ-კუში ერთხმური!

(სანდრო დაიწეებს ცეკვას, გამოიხმობს მარი- ამ ქალს, რომელიც აიგნის ნაპირასა სდგას სავ- რთო მწიქნება, ვაშა-ტაში)

გოლა ინჟ. ღვთაება ხარ, ჰაეროვან ქმნილება!
ვინ შეგძინა ტანის ესდენ ცვლილება?

თავ. ტიტ ვიცი ახლა დაიწეები ეშხითა,
თუ მარიამს თვალი მოჰკარ ღხენითა!

(არამს) არამ, ნუ ხარ ჰარამი,
მოიღობინე რჯულობა,

* პირველი სურათი დაიბეჭდა ამივე წლის ,,თ და ც.“ № 1, 2 და 3-ში. — მეორე სურათის დაბეჭდვა შეჩერდა ტექნიკური მიზეზებით.

გადირეცხე, თუ რა გავსე,
ჟანგი-ჟუნგი გულზედა,
ქალმა გითხრა უარი —
მეაქ აღარ მიგულენ? (სიდონიას)
ჩემო რძალო, რას ნიშნავს
ქალის ასე ურჩობა?

სიდონია რა ვქნა მაზლო, შენც იცი,
მე არ მიყვარს ხუმრობა,
მაგრამ გაქრეს ჩვენი დრო,
არის თავისუფლება,
და ძალას ვერ დავატან, —
ეს არს ქალის უფლება.

თავ. ტიტკო ქალს ვინ მისცა ის ნება
ჰქმნას, რაც მოგნებება? —
კაცის თავისუფლება,
ქალის დამორჩილება, —
აი ჩემი კანონი,
თუ ხარ სწორედ გამგონი.
მე ვიცი და იმანა,
ენახოთ თუ არ ინანა!
მიაყოლე იმდენი,
რომ იწყეველოს თვის დღენი.

თუ შენ ველარ დაჰსძალე,
მერე მე დამაძალე!
როგორ? კახეთიდანა,
მიტო მოვედ აქ განა
ჩემი სტუმარ-მოყვარებით,
ჯერიტა, დიდი კრებით,
რომ ქორწილის მაგიერ,
ჯავრში ვიყო ამიერ,
და სიბერის კარებზე
ვერ ვსთქვა მრავალეამიერ?!

სიდონია ღმერთი არის მოწამე,
არა მძინავს ღლე-ღამე,
მუდამ ვეჩიჩინები,
ჯავრით განაწყინები, —
რო მოვეგოს გონებას, —
მაგრამ მისდგეს თვის ნებას...
წავალ, კიდევ ვეცდები...
ღმერთო, ლამის ვცეტდები.

(გაღის. გოლა მარიამს ელაზარაკება. სხვები თავ- თავაანთთვის მუსაიფობენ)

არამ. კნიაზ, შენი ხათრითა
ღაბმული ვარ სიტყვითა,



უნდა მოგყვე, რა ვუყო,
თუნდ ცა მომსკდეს რისხვითა!
თავ. ტიტ. (გვერდზე ჯიჟვანს).

ცოტა ფული მქირდება,
თუ არ გაგიქირდება..

აწამ. სული მთხოვე—მზათა ვარ,
თავს მსახურად გახლავარ!

(აქლუკს 100 მ. ერთად საუბრობენ ჩუქად),
(მოისმის ურმუელი შორიდან თანდათან ძლიერდება,
შერე თან და თან მიწენარდება.)

გასწიე ხარო, გასწიე,
მუხლი ნუ შეგიზინდება,
აღმართს გადავალთ, ტყეს გავალთ,
გზა მალე გაგვივაკდება.

შენის ქედითა ოფლსა ვღვრი,
ნაოფლი ჩვენნი სხვის რჩება,
მაგრამ გასწიე, ნუ შიშობ,
ბედი ჩვენც გაგვილიმდება...

გასწიე ხარო, გასწიე,
მუხლი ნუ შეგიზინდება,
ბნელში სხვისათვის მშრომელთა
ლენი ჩვენც გაგვიბრწყინდება!

(ამ დროს ევეჯანი სუფგანბუფნი უსმენენ).
თავ. ტიტ. (ურმუელის ხმა რამ მისწუდება)

სიყვარულის ღმერთისა
შენ არ იცი აფალი,
სწორედ მაშინ მოგხედავს,
როს გგონია გამწყრალი
ლაპარაკი არ გვინდა,
ლხინის ღმერთი მოვიდეს, —
მხოლოდ ის ვქნათ ყოველთვის,
სადაც ვის რა მოგვიხდეს.
საზანდარსა მომიხმეთ,
ლხინი მინდა გულითა,
თანაც ქორფა საუზმე
და ნუნუა კულითა!.

(შემოდის საზანდარი).

აბა, ერთი გაპკარი ქიანური და თარი!
საზან სიცოცხლე მწყურის სიკვდილს ვემდური,
წუთისოფლის ვარ ცოტა ხნის მდგმური,
სიხარულს ვეძებ, მსურს მი სადგური,
მაგრამ არა სჩანს, მოვსტირი ერთი.
ლამაზო, ღლე-ღამ შენ მეღანდები,
არ მასვენებენ შენი ღანდები,
უშნოდ ვქრები და ვიბღანდები,
ქალო დამიხსენ, იწამე ღმერთი!..

მხოლოდ შენშია ჩემი არსება,
შენით მთლიანი იშვება ნება,
უშნოდ ჩემი გზა ითარსება, —
სიკვდილ-სიცოცხლის ხარ შემაერთი!..
ტიტიკო აბა, მარიამ შენი სიმღერა,
რომ აღიტაცო გულისა ძგერა!
(სჩვენებ სთხოვენი).

მარიაში, მე დასაბამი ცხოვრების წყარო,
ქკვიანთ საამო, გიჟთ სამწუხარო,
ახლო ვარ, ახლო, გულ გასახარო,
შენ კი მეძიებ ველსა შრბი შორა!
სატრფოვ, შენს გარე მკვდარია გული,
შენის ყრუ ყოფნით ვარ დადაგული,
გულშია ხარობს ხე შენით რგული, —
შენ კი ნეტავი ვინ განგაშორა?
ქარმან ჩრდილოსმან სისხლი გაჰყინა,
უცხო ტყვეობამ გაღნო, გაწყინა,
ხელ-ფეხ შეკრული ვერ ვიძვრი წინა, —
შენ კი ვის ეტრფი, ვინ დაგაშორა?
სამოთხეს ეძებ? — მოვედ მიხილე,
სიცოცხლე გწყურის? — მაშ განმიხილე, —
ჩემს უკეთესი სხვა ვინ იხილე? —
თუ არ გამცვალე, მაშ ვინ მოქორ?!
(საერთო მოწინება).

კალა იხუ. მალამო ხარ გულისა
სევლით დაჩაგრულისა!
ცოცხალი ვარ თუ მკვდარა,
დამეკარგა დავთარი, —
მე ამ ქვეყნის აღარ ვარ,
მეშვიდე ცას დაექრივარ!
ნება მომეც გემონო,
თუნდ უფალიც გეგონო!..
ნეტა ვინ ხარ ასულიო,
სიდან წაით მოსულიო!

მარიაში. მე უბრალო ქალი ვარ!
აღმისხანის დობილი,
იქერეთით მოსული,
სასტუმროდ ჩამოსული!
რო მიწონებთ ე მაგრე,
მოგდისთ გრძობის უხვება,
თორემ გლენის სიმღერას
ვინ სწავლული აჰყვება!
შინაურად აღზდილი,
მქარგავი და მკერავი,
ოჯახობა-კერისა
მეთვალყურე მზგერავი.
მე სად მფერობს სწავლულის



მალაღმურენი სიტყვები?!
ახლაც თქვენის ხოტბითა
სირცხვილისგან ვიწვები..

კოლა. ვინც გსუჯის იგი იყავი, —
თუ ხარ თავისუფალი,
დღეის ამის შემდეგა
შენ ხარ ჩემი უფალი . .

თავ. ტიტ. «დამწვარი ვარ ისე როგორც აბელი!»
ეს შენზეა გამოქორილ დანკმედი,
სახანდარო, ერთი კიდევ დაუკარ
და სიტყვის ხალხს მიგვით პირი აუკარ!
(სახანდარი დაუკრავს. კოლა და მარიაში ერთად
გაიჟღიან ბაღისკენ მუსაიფით. მთვარე თანდათან
ამოდის. გამოჩნდებიან: კნ. სიდონია, ალექსანდრე
ალექსანდრესძე, ერთ ხარეს რუს გენერალი, მეორე
შხარეს შვიდი მისი ნიკოლაკა. რუს გენერალი რა.
დასაჯ კლამარაკება განხარებით სიდონიას. ტიტო-
კო დვინით სავსე ჯამს მიაწოდებს ანამს. არაში
დაილოცება, შერთან შიიტანს, შავრამ ძალზე უარ
ზეა — არ შემოდის დადგავა, ბოლახ. მანც და-
ლევს, უსიამოვნება შექმნივს, ანიშნებს, გაგადეთო.
ტიტოკო საზანდარს აშლის და ერთად გაგლენ და-
კვრით. ტიტოკო და არაში ხელი-ხელ გადახვეულ-
ნი შისდევენ საზანდარი რა მიუუხდება, მოისმის
სიმღერა „ზამთარი.“)

რუს გენერალი. (რაცა სიმღერა იუუხდება).
კეთილშობილ ქართველსა
მუდამ ჭფერობს გმირობა:
აღთქმა საქმედ აქციოს,
შეასრულოს პირობა!
დამერწმუნეთ თქვენსა ქალს
მე წამართმევს ვერვინა, —
კეკლუც საქართველოში,
საუკუნოდ მაქვს ბინა!
აგერა მუ ვს მეც შვილია,
გადვინადროთ ქორწილი..

(გარედან მოისმის იჯა მწუხარე ჭიანჭური).
სიდონია. (მოთქმით)
თქვენი ზიყავი მუდამ ერთგული,
თქვენთვის მიცემდა ბენავი გული,
თქვენს ჭირშია ვარ მუდამ დაგული,
თქვენს იქით ყოფნა მე არა მწამდა,
მე არა მწამდა იცის უფალიმ!
მაგრამ დასწყევლოს ქალის გაჩენა,
ის მხოლოდ თავის აზრს ემონება, —

ვინც გულშია ჰყავს — ის ვგონებდა
მუდამ ეს ფიქრი მეც გულს მიზამდა,
მეც გულს მიზამდა მაცხოვრის ძალმა!..
ქალს ვუნატრიდი ერთსა საქმროსა,
დღეს-კი სამი ჰყავს შეხედვ დროსა:
თუჯს ამჯობინებს ლალსა და ბროლსა,
გლენის ბიქს რჩეობს, სხვა აღარ უნდა,
სხვა აღარ უნდა უმტყუნა თვალმა!
გირაოდ ვყევართ ხელში არამსა,
არ დაგვანებებს არც ერთ ალაბსა,
ქალი-კი ჰმონებს გლენს აღმასხანსა, —
ბარემ ჩამქოლეთ, მკათ ქვა და გუნდა,
მკათ ქვა და გუნდა, თუნდ მკავთოს ხმა
ლმა!..

თავ. ტიტ. (ამ მოთქმას უურს უგდებდა შო-
რადან) უკულმართია ბედა წყეულო,
ძლიერ ბევრი ჰყავს გადარეული:
ლაშის ქორწილი მე ვერა ვკამო,
ველარ ვიხილო დღენი საამო!
ნიკოლა ხმალმა გადასქრას მაშ სამართალი!
მით გამოჩნდება ვინ არს მართალი!
რუს. კენ როგორ, ციმბირსა მისთვის გა-
ვზაზენე,
მისთვის უჩინე ცივი სავანე,
რო მისი სული აქ ტრიალებდეს,
და ქალისა გულს ატრიალებდეს?!
მაშ ჩვენ ქთვენ სახლში არ გვედ-
გომება,

ნიკოლა. როდგან თავადი გლენს ეტოლე ძა
ვაქარს მათრახი, გლენსა პანდური!
ეს სასახლეა ჩემი სადგური.

თავ. ტიტ. (ნიკოლაკს).
ვინ დაგიხურავს მითხარი კარსა, —
ვინ პირწყეული გიბედს უარსა? —
ოლონდ გაიკარ შენ ჯიბეს ხელი,
მუდამ ვიქნები შენი მშველელი,
და თუ ნათელა არ შეგაბერო,
არ ვიყო შენი სალმის საფერო!

ნიკოლა. ვაშა ტიტოკო, სიტყვა გაქვს ზდილი,
ყოფილხარ მართლაც თავადიშვილი!
მიიღე ჩემი ხმალი, ქონება,
ოლონდ განკურნე გოლი, გონება!..

იოსებ იმედაშვილი
გაგრძელება შემდეგ.



ქართული
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

მრი პაპარი.

(მელქუა გახეთს კითხულობს,
ყაზარა სკამზე თავს ჰქინდრავს)

მელქ. ყაზარ! რა ღმერთი გიწყობა, რა დროს ძილია?
ყაზარა (თავს აიღებს) მაშ რაქნა, მელქოჯან,
საქონელი არ არის, არც ვაჭრობა.

მელქუა. კაცო, რის ვაჭრობა, რა საქონელი?
გესმის რას ამობენ?

ყაზარა (შეშინებული) რაო, თურქებით ხომ არ
შემოსულან? [წამოდგება-და აქეთ იქით იცქირება]

მელქუა. თურქები კი არა, უარესი.

ყაზარა. გინდაგამაგიო? თუ გინდა მეც უქუდოთ
არმავირში გავიქცე? ჰა... სთქვი რაღას მაწვალებ?

მელქუა. ამობენ ვრასტან ღვებოა.

ყაზარა. (დამშვიდებით) ეჰ. მეც არა ვსთქვი რა
ამბავია მეთქი. არა და. მაგაზე მეტი ვერა მოიგონერა? —
ერთი მამაჩემი გალუსტა ადგება, მეორე ვრასტანი. (იციან)

მელქუა. ყაზარ ნუ იღრიჯები. აი ჩვენი სომხუ-
რი გახეთში იწერება, ნახე რაღა? (აჩერებს ხელში გა-
ხეთს, ისიც კითხრობს).

ყაზარა. ვა მე ვერაფერი გამიგია. მერე, ჩვენი
რუსეთი ყაბულია? (პაუზა) არა და, ძალიან თავს წავი-
დნენ და! ახ. ერთი ბალშევიკები მოსულიყვნენ, აჩვენებ-
დნენ როგორია ეგ რაღაც საქართველოა.

მელქუა საქმეც ეგ არის, ვერ მოვიდნენდა. ჩვენ
ამ სხვილ იმედებით ვართ და ლამის სულ გავველიტონ.
ჯერ ვიძახდით: ანელია ჩვენია, ჩვენიაო. მაგრამ რა გა-
მოვიდა, ვერაფერი გვიშველა. ეხლაა და, ამ რუსეთის
იმედებით ვსადილთბთ. ეს ოხერიც ისე ფინთათ წაიქ-
ცა, რომ არ ვიცი როდის ადგება

ყაზარა არა და. ნეტა ვისი იმედი აქვთ ამ ოხ-
რებს რომ ნეზავისიმები ხდებიან. მერე ესთიფლიზი, ხე-
ლიდნ უნდა გაუშვათ.

მელქუა. მიდის რაღა... არა და, რა ჩვენი საქ-
მე იყო, რომ დაშნაკლებს მაგდვდით: ჰაიასტან... ჰა-
იასტანო ნეტა შენახოს მაინცა სად არის ეს ჰაიასტანი
პაპაჩემი, მამჩემი ამქალაქში შექნილან, მე რავიცი ჰაი-
ასტანი რომელია? ეს კარგია რომ იმის ძებნაში ეს ქა-
ლაქიც გვეკარგება?!

ყაზარა. ახ რატო მე არავარ დამნაკლების დიდი!

მელქუა. მერე რას იზამდი?

ყაზარა. ეგ მევიცი, რასაც ვიზამდი.

მელქუა. მაინც რას სზამდი?

თქვი რაღა, შე ოხერო: ეგეც ხომ ყაღადა არ არიის?
ეხლა ხომ სლაბოდნობაა... რაც გინდა თქვი!.. სხვა არა
იყოს რა, მე ზოგიერთა გახეთის კაცებს ვიცნობ. თუ კა-
რგი რამე იცი ხელათ უთხრათ და ისინიც ყველაფერს
იზამენ...

ყაზარა. რას ვიზამდი და... აი აქრომ გერმანიის
კაცია ჩამოსული კეზერია თუ კაზერი...

მელქუა. ჰო... ჰო... ამოშენ დიდი ვინმეაო!

ყაზარა. ჰოდა, მივიდოდი იმასთან სანაშენს
ველებს არ მოსვლიათ თავში.

მელქუა შენ რა იცი! ეგებ მოსვლიათ კიდევ.

ყაზარა მაინც მოვიდოდი და ვეტყვოდი: კაიზამ-
ჯანი! ერთი თქვენი ემე ვილგმელმას დევეში მიეცი, რომ
ჩვენ თქვენი თავი, ძალიან გვიყვარს, მოდი და პატრო-
ნობა გაგვიწიე მეთქი!

მელქუა ეგ კარგი რამ გიფიქრია ყაზარჯან, მაგ-
რამ ბალშევიკები, რომ გაიგებენ ხომ ხათა გამოვა!

ყაზარა. რას გიზამენ?

მელქუა. შენ რა იცი! ეგებ მოსვლიათ კიდევცუ

მელქუა. ვა! ჩვენ რომ არას გვიზამენ, იქ ცო-
ტანი არიან ჩვენები წასულელები?! ყველას სამწვადეთ ააგე-
ბენ და ისე შეტამენ.

ყაზარა. ეგეც მაროალიაა მაგრამ მაინც კარგი
იქნებოდა, რომ როგორმე მოგვენერებინა რას იზამ!
როცა ძალა არა გაქვს უნდა ხერხი იხმარო... (ამდროს
გამოირბენს მეგაზეთე და ყვირის)

მეზავეთე: ცხელ ცხელი ამბები! ცხელ ცხელი!

ყაზარა. რა ამბავია ბიჭო! რის ცხელი ამბები,
რა გაყვირებს?

მეზავეთე. ვა ვა ამხანაგებო! ცხელი და რა
ცხელი!.. ცხელია, მაშ რა არი? საქართველო დამოუკი-
დებელ სახემწიფოდ გამოცხადდა.

მელქუა (თითქმის შიშით) როგორ თუ დამოუ-
კიდურად?

მეზავ. ისე ეხლა საქართველო თავისუფალია აღსდგა!

ყაზარა. მაშ ისევე იქნება, როგორც ნფევე ერეკლეს.

მეზავეთე. უფრო კარგათ, უფრო კარგათ! (თან
გარბის ყვირილით)

ყაზარა. (დიდხან გაშტერებული) აი, ეხლა კი
მოდის და ვისი ტალახიდან ამოვიყვანოთ. მაშ ჩვენ რა-
ლა გვეშველება?...

მელქუა. არა და. ერთით ახია ჩვენზე. გაუშვი კა-
რგათ გვეცხოვრა ამ ქართველებთან? ათასნაირ სკამე-
ბზე ვისხვდით და ეხლა მგონი ერთი დანაც გადმოვარდეთ.

ორივე. (ერთად) ვაი ჩვენ დღეს. აჰა. ესეც შენი:
დაშნაკცაკან; დაშნაკცაკანი... **სანდრო ბაქრაძე**

სასკლპან პიირია

(კაპ. ს. შავგულიძის, პრაპ. დ. ვანიძის, პორ. ა. ხარაი-
ძის და კაპ. ონ. დოლიძის ხსოვნას).

დიდება გმირნო თქვენს გმირულ სახეს,
დიდება გმირნო თქვენ და თქვენ დედებს,
დიდება მათ რომ თქვენ გამოგსახეს
და დაგამგზავსეს რეცხდისა ბედებს;
დიდება თქვენსა უთსულაფნებს,
მამულისადმი დიდ სიყვარულსა,
რომ არ დაჰყვეთ თქვენ სხველთ ვნებას
და შეეწირეთ მამულს ტანჯულსა!

ერეკლე შანჩელი.



მუსიკა და სახიობა

ჩვენს სამშობლო მუსიკას — ეროვნულ მონობის ხუნდები მოეხსნა და ეროვნული სამუსიკო თვით შემოქმედება ნელ-ნელა ფრთასა შლის. ჩვენს დედაქალაქში თავი მოიყარეს ჩვენმა კომპოზიტორებმა და არაყიშვილი, გ. ბალანჩივაძე, ნ. სულხანიშვილი, კ. ფოცხვერაშვილი და მუშაობა გააჩაღეს: თითოეულმა მათგანმა უკვე გამართა კონცერტი ანუ თავისი ნაწარმოებნი საზოგადოებას მოასმენინა. თითოეული მათგანის შემოქმედება, მუსიკის ხასიათი ერთი მეორისგან საკმაოდ განსხვავდება, ხოლო ყველა ერთად კარგ მასალას წარმოადგენს ჩვენის სამუსიკო ხელოვნების ასაღორძინებლად.

დ. არაყიშვილის სამუსიკო ნაწარმოებთ უკვე იცნობს ჩვენი საზოგადოება: კომპოზიტორს ფორტოგრაფიულის სინამდვილით აქვს აღნაქესული კილო და ხასიათი ჩვენის მუსიკის. თუ ბედმა გაუღიმა, ეს ჩვენი მუსიკის დიდი ოსტატი სამშობლოში დატრალდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მშობლიურ ჰანგთა პირისპირ მოსმენა და მათ იდუმალიაბათა შეცნობა კიდევ უფრო გააღრმავებს და გაამრავალფერავებს მის შემოქმედებას. დროს საყვარელი კომპოზიტორი შეუდგეს სრულ ნაწარმოებად შექმნას, თორემ ნამცეცებით სული ვერ გაძლება: ავერ თითქმის სამგზის გაიმართა მის ნაწარმოებთა საღამო და სამივეჯერ ნაწყვეტებისა.

კ. ფოცხვერაშვილმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა რაოდენი ორგანიზატორული უნარი შესწევს მუშაობის მეტად აუტანელ პირობებში და მიუხედავად ამისა მაინც შესძლო საერო ჰიმნ-სავალოებელთა კონცერტების გამართვა (იენისის 2 საქართველოს სხანგი-ფიფთ თეატრში, ხოლო იმავე თვის 8 სახალხო სახლში). ორივე კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო და დიდის პატივისცემით შეხვდა. კ. ფოცხვერაშვილი რადენათაც მუსიკოსია, იმდენად იდეური მუშაკი-მქადაგებელი: სამშობლო მუსიკის გავრცელებას იგი სიტყვიერი ქადაგებით უფრო ფიქრობს და ამიტომაც არის, რომ მისი კონცერტების დროს უფრო მეტი სიტყვა-ლექცია ისმის. მუსიკოსი-კი, ჩვენის აზრით, უფრო მეტად თავისი შემოქმედებით, თავისი უდიდესი ერთი — მუსიკით უნდა მეტყველებდეს, — განა სამღერა-ვალოებზე უფრო ძლიერი სხვა რომელიმე მონიშნავება? თუმცა ყოველივე მისი ნათქვამი უაღვილო არა ყოფილა და ბევრი რამ გადასცა საზოგადოებას. კომპოზიტორმა მოგვასმენინა ჰიმნი — დიდება და ლოცვა პირველი ნიწარმოები გმირული მჭეკარა აღმაფრთოვანებელია. შიგადაშიგ თითქო უცხო მუსიკის გავლენა ემჩნევა, მერვე — ლოცვა უფრო ლბილია, სალოების დამგვრელი. საზოგადოებამ ჰიმნი გაამეორებინა და დიდის ტაშით დააჯილდოვა კომპოზიტორი. ამავე კონცერტზე კ. ფოცხვერაშვილის თხოვნით მ. ბალანჩივაძემ შეასრულა თავისი ჰიმნი. ეს ჰიმნი უფრო დამუშავებული, უფრო ნაზი გამოდგა. შეატყობდით, რომ ორი სხვადასხვა ხანის ჰანგი იყო: ერთი კ. ფოცხვერაშვილისა — რევოლუციონური ხანის, დემოკრატიის გამძაფრების, მერვე მ. ბალანჩივაძის — შვიდობიან დროის, სალონურ-არისტოკრატიული.

ნ. სულხანიშვილი ძლივს ვიხილეთ თავის მართლა და ეროვნული კონცერტით, რომელიც გაიმართა

ქართულ მხედართა კავშირის თაოსნობით. მისი შემოქმედება ჩვენთა კომპოზიტორთა — დ. არაყიშვილის, მ. ბალანჩივაძის, ზ. ფალოაშვილის, ა. ყარაშვილის, ერ. ჯაბადრის, კ. ფოცხვერაშვილის, და თვით სულხანიშვილის ნაწარმოებნი ამ საღამომ გვიჩვენა, რადენად მშობლიურია უცხო გავლენას აცილებული შემოქმედება: ნ. სულხანიშვილის შემოქმედების ნიმუშები ისე ერკვეოდა დანარჩენთა ნაწარმოებთ, როგორც ანგარა წყარო ზეთშერეულ მდინარეს. საზოგადოებას განსაკუთრებით მოეწონა ნ. სულხანიშვილის „მესტიურული“, საზოგადოების თხოვნით გამეორებული, „გუთნური“ და „სამშობლო ხევსურისა“, ერკვევ ჯაბადრის „სული ობოლი“, მართლა და საუცხოვო რომანსი და კ. ფოცხვერაშვილის „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“, ნ. სულხანიშვილიმა გვიჩვენა თავისი ნიჭის ძალა და შრომის უნარი, მაგრამ მასთან დაუდევრობაც: ასეთი ბუნებითი მარგალიტი დღემდე ვერ ვამრავალფერებულა. დავ ჩვენმა საზოგადოებამ ახლა მაინც იცნოს მისი ბუნებითი ნიჭის სიუხვე და სათუთად მოეპყრას, რომ იმყოფოს: მისთვის მარტო ის მხურვალე ტაში არა კმარა რომლითაც შეხვდენ. კერძო მომღერალთა შორის აღსანიშნავია ქ-ნი კალანდაძე-აგასოვისა, რომელმაც მშვენიერის მომხიბლავის ხმით შეასრულა ერ. ჯაბადრის რომანსები, განსაკუთრებით „სული ობოლი“, და სიონის მთავარი სალოიძე: აი, სწორედ ამანვე ითქმის — სიმღერა-გალობის ღმერთმა თავისი კალთა დაადებტყაო: მთვალ საქცევიანი და მომხიბლავი ხმა მისი თითქმის მთელ გუნდს ჰფარავდა; სავატო ყურადღება დაიმსახურა ახალგაზდა მომღერალმა ჭუმბურიძემ, — მიუხედავად იმისა, რომ გ. სარაჯიშვილის „ავადყოფობის“ გამო, უცებ გამოვიდა. მშვენიერად იმღერა „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“ და სხ. ხმა ტბილი აქვს, თითქმის დამუშავებული, ნაზი და საამო სასმენი, თავი კარგათ უჭირავს და მომავლისათვის სანუგეშო იმედს იძლევა. ვ. ლორთქიფანიძემ ფხინალ შეასრულა დ. არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთველი“ — დან სოლო „ნეტავი ქება“. — საზოგადოება ყველა აღმასრულებელ ტაშით აჯილდოვებდა, გუნდი? გუნდი სულტობდა, და არც საკვირველია ვადარუსებულ გაუქუღმართებულ ხმათაგან განა მშობლიურის შონსმენ რასმეს?! ნიშნები-კი ემჩნევა, რომ ბევრით მუშაობით თვით ეს გუნდიც სასურველ ნაყოფს გვიჩვენებს. კათალიკოსიკ მობრძანებისა და წაბრძანებისასაც გუნდმა შეასრულა ნ. სულხანიშვილის მიერ ამ შემთხვევისათვის დაწერილი მისასალმებელი „ტონ დესპოტინი“. საღამოს დიდძალი რჩეული საზოგადოება დაესწრო: აქ ბრძანდებოდენ კირიონ კათალიკოსი, ლეონიდ მიტროპოლიტი, საქართველოს მთავრობის წევრნი და სხ.

ქართულ მხედართა კავშირი დიდი მაღლობის ღირსია ასეთი ეროვნული კონცერტის გამართვის გამო, — ვუსურვოთ მეტი უნარიანობა.

წინამძღვარ — იოპერა „ქრისტესნე“ ქართულ კლუბის სცენაზე როგორ შეასრულეს? ვიდრე შემსრულებელთა შესახებ ვიტყვოდეთ რასმეს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი კლუბის სცენა საზოგადოთ წარმოდგენებისთვის და განსაკუთრებით ოპერის დასადგმელად შესაფერი ვერაა. მერვე მხრით ოპერაში უცხო ტომის შვილიც მონაწილეობდენ, მაგრამ მიუხედავად ამისა შესრულებამ მოკლ. ვადაპარბა. ოპერის მთავარ პარტიას ასრულებდა ქ-ნი კალანდაძე-აგასოვისი. მსახიობი ქალი რადენათაც თავისი



წმინდა, დამუშავებული ხმით ატყვევებდა მაყურებელ-მსმენელთ, იმდენად თავისი თამაშით: ყოველი ჰანგი, ყოველი ბგერა, ყოველი მიმოხვრა და ნაბიჯი მისი, სახის მეტყველება და თავის დაკავება შეწონილ-შეთანხმებული და უნაკლო იყო: მსახიობქალს საეცებით შეუგნია ქრისტიანულ გაწილებული და ტანჯული სულისკვება. მისი მხარის დამამშვენებელი იყო მსახიობ-მომღერალი კურბატოვი. მიუხედავად იმისა, რომ იგი უცხო-ტომის შვილია, ჩვენი ოპერის საპატიო მუშაკად უნდა ჩაითვალოს. ბ-ნმა კურბატოვმა გუიჩენა, ხელოვნების უანგარო მუშაკს და ბეჯითს შეუწოდებს რაოდენი ნაყოფის მოტანა შეუძლიან. გამოთქმა თითქმის გამოსწორებული აქვს, ძნელად შეატყობთ უცხო ტომობას. როგორც მომღერალი და როგორც მსახიობი თელსაჩინო ძალას წარმოადგენს რაიცა ამ საღამოს დამატკიცა-დათიას მშვენიერი აღსრულებით. მსახიობს საეცებით შეუგნია დათია და იშვიათად შენიშნავდით სიყალბეს. უეჭველია, მის რეპერტუარში დათიას პარტია საპატიო ადგილს დაიკავოს. ვ. სარაჯიშვილის სახელი ნათელყოფს, როგორც შეასრულებდა ისონს: სრული ხატებ მოგვცა. ქა მიხეილოვისამ სამი პარტია შეასრულა—მარიკასი, დიასახლისისა და გოგისა და სამივე იმდენად ხელოვნურად, განსხვავებული, რომ ძნელად შეატყობდით თუ სამივეს აღმასრულებელი ერთი და იგივე პირი იყო. აღსანიშნავია აგრეთვე ლიხვიმი (სონას აღმასრულებელი) ი. დავითაშვილი (არჩილი), რომელმაც ზომიერად და სინამდვილესთან დაახლოვებით განასახიერა მოქვიფე თეადი, ნ. ნიკოლაძე (დარჩო) და მუსიჩიენკო (კინტო)—ეს უკანასკნელი ცოტა ამლაშებდა. გ. იორდანიშვილმა საუბროვოდ იცეკვა ვინტოური. გუნდი ვარგი მომხადებული აღმოჩნდა. იმედია ქართულ ოპერის განვითარებას ხელს შეუწყობენ, თუ კიდევ უფრო ბეჯითად მოეკიდნენ საქმეს. ოპერას ჰლოტბარობდა ნიკ. გიორ, ქართველიშვილი, რომლის მუსიკალური გემოვნება და ლოტბარობის უნარი ამ ოპერის აღსრულებითაც დამტკიცდა. როგორც გვითხრეს. თურმე ამ ოპერის დადგმას მან დიდი შრომა შეაღებია საშობლო მუსიკის აღორძინებას დიდად უწყობს ხელს. გამარჯვებულნიც გვენახოს მისი შიხანი. საკრავთა შორის შესულია დუდუკიც.

ოპერა ოთხჯერ დაიდგა, თითქმის ზედი-ზედ. პირველი წარმოდგენის დროს ქართულ მუსიკა-მომღერალთა კავშირმა ავტორს—გოგნიაშვილს თავიგული მიართვა, ხოლო ლოტბარს ნ. ქართველიშვილს გვირგვინი. საზოგადოებამ დიდის ტაშით დააჯილცოვა ავტორი და აღმსრულებელნი.

თელავი წარმოდგენების მხრივ დიდად ჩამორჩენილად უნდა ჩაითვალოს.

წარმოდგენები აქ მხოლოდ შემოხვევით იმართება, უფრო-კი საქველმოქმედო მიზნით და, რასაკვირველია შემოსავალს უფრო მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე თვით ხელოვნებას: ამასთან ასეთი წარმოდგენები ხელმიუწვდნელი ხდება მდამიო მშრომელ ხალხისთვის, რის გამოც იგი სრულებით მოკლებულია გონებრივ საზრდოს.

ეს გარემოება აიხსნება უპირველესად თეატრის უქონლობით. თელავში არა თუ თეატრი, ისეთი დიდი შენობაც-კი არ არსებობს, სადაც შეიძლებოდეს წარმოდგენების მართვა. მართალია საზოგადო საქრებულოში სცენაა მოწყობილი, სადაც ეხლა იმართება წარმოდგენები, მაგრამ დარბაზი მეტად პატარა და მოუხერხებელია

ეს გარემოება ჩაითვლება უმთავრეს მიზეზად, რომ წარმოდგენები თელავში სისტემატიურად არ იმართება, რეთვე იმის ბრალია, რომ ჩვენი მსახიობნი იშვიათად გვეტუმრებიან ხოლმე.

წარმოდგენები უფრო ხშირად იმართება ზაფხულობით, როცა ქართულ თეატრის მსახიობთ შემოხვევა ეძლევათ პროვინციებში ყოფნის, მაგ. როგორც ახლა აქ იმყოფებიან ბეჟანიშვილი, კორიშელი, ბეგლარიძე, სხვებიც აპირობენ თურმე ჩამოსვლას და რასაკვირველია პატარა დასს შეადგენენ, მით უმეტეს საზაფხულო თეატრი უკვე შენდება, მაგრამ ამაზე შემდეგ.

ჩვენი მშობელი თეატრის აღორძინებას და აყვავებას თავისუფალ საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ამის შემდეგ თელავში გამართულ წარმოდგენების ანგარიშს უფრო ბეჯითად გაავცნობთ მკითხველს იმის და მიუხედავად, თუ ვინ, ან ვის სასარგებლოდ იქნება გამართული, რადგანაც თეატრი პარტიის გარეშე უნდა იდგეს.

თიბათვეს 2 აქაურ საკრებულო დარბაზში გაიმართა გასართობი საღამო, რომელიც შეხამებული იყო სხვა და სხვა შინაარსით გარეგნულადაც მწვენიერად ძველი სტილის გემოვნებაზე მოერთოთ ოთახები.

პირველად გ. ციციშვილმა მიჰმართა დამსწრე საზოგადოებას დროის შესაფერისი სიტყვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ცხემო, რომელიც ყურადღებით იქმნა მოსმენილი. შემდეგ წარმოადგინეს 1 მოქ. ვოდ. „დედის ვრთა“, მონაწილეობდნენ ბეჟანიშვილისა და პ. კორიშელი. თვით პიესა სუსტია, მოსაწყენი, მაგრამ მსახიობთა ხელოვნურმა თამაშმა ცოტა გამოაკეთა. აგრეთვე კარგად შეასრულა მოხუც აფიკრის როლი გ. ციციშვილმა, დანარჩენები სუსტობდნენ და ზოგი ხომ სცენაზე იცინოდა კიდევ, რასაც უდვილი არ უნდა ქონოდა. საზოგადოდ ასეთ დრო-მოკშულ პიესების დადგმას უნდა ერიდნენ, ვინაიდან საზოგადოებას არაფერს აძლევს და არც ინტერესს შეადგენს მათთვის.

წარმოდგენას მოჰყვა საკონცერტო განყოფილება: თელავში მდგომ მერვე ქართულ პოლკის მგალობელთა გუნდმა ზურაბიშვილის ლოტბარობით მშვენიერად შეასრულა ეროვნული სიმღერები.

საღამო გაიმართა ერ. დემოკრატიის თელავის პარტიის სასარგებლოდ. საერთოდ მხიარულად ჩაიარა და აუარებელი ხალხი დაესწრო.

ვარუნი.

უკრაინა

სახელი გვინდა მგონისა, ორბელიანთა გვარისა, მოტრფიალისა და შემშკობის თავის სამშობლო მხარისა, და კიდევ ქარონიკონით დასწერეთ ოთხი ჩქარადა; ეგები რამე ნაირათ შეგკინძო ჩემი შარადა. შემდეგ მიხსენეთ სახელი ბუჩქნარის ნაზ ყვავილისა, სურნელოვანის, ფერთაც ატლასისა და ლალისა. თვლით ერთის შემდეგ ორია და ორის შემდეგ რაც არი თუ იმას მეტყვით შარადაც გაათავებისთვის მზათ არი. მხოლოდ ჩვენ კიდევ ხსენება გვჭირდება უკანასკნელი, უსუსურ ბავშსა რაც კვებაგს გვიბოძეთ მისი სახელი; სამ ანბანისგან შესდგება, —წინიდან ერთი თქენია, და დანარჩენი ორი-კი ჩვენი შარადის ძღვენიია.

ვარდენ ყიფიანი.



მ მ შ მ დ ე გ ე

კულტურის და შრომის კავშირისაგან.

დღევანდელს განსაკუთრებულ პირობებში, როცა იწყება ჩვენი სახელმწიფო ბრივი ცხოვრება, საქართველოს ყველა მოქალაქეს მოეთხოვება უაღრესი თავგანწირვა, რაც შეიძლება მეტი საქმიანობა სახელმწიფოებრივ იღვის განსამტკიცებლად და გასამაგრებლად.

ყველა მოვალეა, რითაც-კი შეუძლიან, ხელი შეუწყოს ეროვნულს საქმეს. მიიტანოს ერის საკუთრივებში თავისი ძალა, ღონე, საღსარი, ცოდნა და გამოცდილება.

დიდია ვასაქირი ჩვენის ქვეყნისა, მრავალი საფოხე მოსდგომია მას ყოვლი მზრიდან, შინ და გარედ.

საქიროა განსაკუთრებული შედეგებმა ერის ყველა შემადგენელ ნაწილებსა, განსაკუთრებული მხნეობა, სიფხიზლე, შრომა, თავგანწირული შრომა.

სიტყვების დრო წავიდა დადგა დრო საქმისა, შემოქმედებითის შრომისა, ცხოვრების ახალ ფორმების აღმშენებლობისა.

საზოგადოების უმრავლესობის ყურადღება მიყრთბილია დღეს პოლიტიკურ საქითხებზე.

ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ არა ნაკლებ საქიროა საქმიანობა კულტურულ ნიადაგზე, ზრუნვა საქართველოში ნივთიერ-სულიერ კულტურულ აყვავებ.

და აი ამ უკანასკნელ შრომისათვის მოუწოდებს ქართველობას ახლად დაბრუნებული კულტურის და შრომის კავშირი. იწყვეს ყველას, ვისაცა სწამს, რომ სამშობლოს, ხსნა პატიოსანს, თავ განწირულს, დაუღალავს შრომას შეუძლიან, ჩაეწეონ კავშირში თავიანთი წვლილი შეიტანონ მის მთავალს საქმიანობაში, საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების კულტურულ ელემენტების შექმნაში.

ნუ დაგვეკარგება და გამოუყენებელი ნუ დაგვრჩება ნურც ერთი ცოცხალი კულტურული ძალა თუნდ სულ მცირედი ნივთიერი შესაძლებლობა ჩვენის მიზნის განსახორციელებლად.

კავშირის წევრად ჩაწერა შეიძლება: 1. კავშირის კანცელარიაში (სახამართლოს ქუჩა, № 26, ბინა გ. ყორღანისაი, ტელეფონი 17-00); 2. გაზეთ „საქართველო“; რედ. კლ. ფანიაშვილთან და 3. კოლპერტივ „დახმარებაში“ (ერევნის მოედანი), ირ. თაზიშვილთან. კულტურის და შრომის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ყორღანია.

რედაქციისგან

ეურნადი „თეატრ“ და ცხოვრება“ მძიმე პირობებში გამოდის. საერთო გაფიქრება მოუდებდნენ და უზომო სარგებო მოგვთხოვ. ეურნადის მკთხველ-მეგობარნი, ნივთიერად სულა წამოგვანძირეთ! შექმნათ რაღაცა უნდა გამოგზავნიან რედაქციის სახელზე თბილისში, ჩახინის ქ. № 20, სახ. ანკევაძის).

პა და რ. რა! ეურ. „თეატრ“ და ცხოვრების“ ფონდის სახარებლად ამასთან ერთად გვიწავნიან ჩემთვის დღით დასვასკებულ ეურნად „თეატრ“ და ცხოვრების“ სახარებლად რთ დროულ დახმარებას საჩინოს მოქალაქეობის შეკრკვისს.

პატრიისკიმით ელენე მ. თვალავაძისა

დომიტ. ჩესტრისძე ნიკოლაძე რჩინაშვილი-რედაქტორი თიბისში 51 მან. კლასიკულ თვალავაძე — 40 მან. ანდროსი ჩახუნაშვილი 20 მან. თხუტმეტ თხუტმეტ მან. კოლა აბრამიძე, სიმ. ბუკაძე; არჩილ სუ, ლაფამ — 11 მან. თითო თუმანი: ნინო ავლიანისამ. კეკელიან უკმაჯურიძემ ტკემ. ნათესავარიძემ. მაქს კარბაძე, მეტა მიფარაქასამ მეტ. ხვამიძემ ვალადი თურმანიძემ; ექვს — ექვსი მანათი: კაკო აღ. მიშაიამ ა. ჩაჩანიძემ, მაშ. ჩინავაძისამ; ხოთხუთი მან. მინალორა ახვლედიანისამ, მიშა შარდენიძემ ვასტ. ნაკაშიძემ, კოლირა კიკელიძემ აკვ. უკმაჯურიძისამ ილ. უკმაჯურიძემ, კალ. ლასხიშვილმა, იოსებ გვანამ, ამეს. ავალიანმა დათ. ახვლედიანმა, სიმ. აბაშიძემ. მ. ლორთქიფანიძემ, ტ. გოგაურიშვილმა, სილ. აბრანიძემ, ვლ რატვიანი, დავ. მილიორგამ, მანციკა დო. რთქიფანიძემ, ვრ. ძანგიძემ, ვერა ბელოკონიევისამ; ვას. ჯოლოშვილმა, ვ. გეგელიაშვილმა, არს. აღვიშვილმა, ლ. გაჩეჩილაძემ, ვერა გოგორიშვილმა; გერ. ცინცაძემ 4 მან. სამ. სამი მან. ვალ. ახვლედიანმა, ფატ. ავალიანისამ, კალიოსტე. ავალიანის მ. სან. ნიკოლოშვილმა, ილ. ლორთქიფანიძემ, დიმ. ბელთაძემ, ტასკიო ჩახუნაშვილმა მიხ. ჭუნდიაშვილმა ელიკო პაპიაშვილმა, მატრონე ჩახუნაშვილისამ ნოე განიძემ ილ. ჟანისამ, ილ. ვაგნიძემ, ქსენია ლოსაბერიძემ, ვატ. ა. ლორთქიფანიძისამ, ვლ. შალვაკელიძემ, ვან. აბაშიძემ, დ. გეგელიაშვილმა; თითო მან. ტარ. ახვლედიანმა, გიგო კოლანდაძემ, აღ. ნადირაძემ და იას. მელიაძემ ნიკ. გრ. დავითაშვილმა 10 მან. თავით აკო ვაშილიშვილმა 50 მან. ნ. ასლამაშვილმა 5 მ.

პრამორჩიკ დავ. აღმქ. ვანიძის სახლოვრად, რომელიც გამოიზულად დაიღუპა ქ. ბათუმის აღების დროს პირველ ხარისხოვან ფოთ ანარიაზე სხვა მფიცრებთან ერთად, მისმა დედამ ლიუდ. ვანიძისამ ქარცივიძის ასულმა შემოსწირა „თეატრ“ და ცხ. 25 მ.

ვანო გიგოშვილმა თავისი მკურნების „არშინ მალალანის“ ერთი წარმოდგენის პონორარბი შვიდ თუმან ნაგვეარი ყურა „თეატრი ცხოვრება“-ს შემოსწირა.

შემომწირვილთ გულითაღს მადლობას ეუძღვნიოთ.

თვერა „ქრისტიანე“ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირის მიერ საქართველოს სახელმწიფო თეატრში წარმოდგენილი იქნება ხვალ, არმაზათს ივრისის 17, მონაწილეობენ კალანდაშვილთა მინალიოვისა ბერეზინი კურბატოვი ნიკოლაძე დავითაშვილი მუსიჩინკო და სხ. ლობტაროზს გრანელი, დუდუკოთ. კანტორა, იციკვეზს გ. იორღანიშვილი, გუნდრ გადაიდებული. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

3. გამყრელიძის იუბილე გაიმართება დღეს სახელმწიფო თეატრში.

4. ქუჩიშვილის დილა დღეს ქართულ კლუბში. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.